ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

# მუნიციპალური ინსპექცია

წერილის ნომერი: **17-01191852564**
თარიღი: **04/07/2019**
პინი: **9510**

**ადრესატი:** თეონა კვიკვინია
**პირადი ნომერი:** 58001005154
**მისამართი:** ხობი ს. პირველი მაისი ლ.გოთუას ქ. N 61

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

ქალბატონო თეონა,

თქვენი N19/01172442375-17 წერილის პასუხად გაცნობებთ,რომ ქ. თბილისში, სოფელ დიღომში (საკ. კოდი N01.72.14.039.674) N4298458 13.12.2018წ. (AR1646193) ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით მიმდინარე მშენებლობის გამო, „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს $25^1$-ე მუხლის შესაბამისად ამავე კოდექსის 45-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის თავიდან აცილების მიზნით ინსპექცია გაძლევთრეკომენდაციას 120 კალენდარული დღის ვადაში გამოასწოროთ ან/და წარმოადგინოთ კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და ახალი მშენებლობის ნებართვა შემდეგი დარღვევის გათვალისწინებით:

**„1-8" ფასადზე:** „1-2" მონაკვეთში შეცვლილია აივნის მდებარეობა. „3-4" მონაკვეთში შეცვლილია სადარბაზოს ღიობების გაბარიტი. „4-5" მონაკვეთში ვიტრაჟის ღიობებს მონაცვლებული აქვთ ადგილი. „5-6" მონაკვეთში გაზრდილია აივნების სიგრძე. +0,00 ნიშნულზე, „1-2" მონაკვეთში გაუქმებულია დეკორატიული კედელი, ხოლო +21.70 ნიშნულზე დამატებულია დეკორატიული კედელი. +3,10 ნიშნულზე, „4-4" ღერძზე დამატებულია რიგელი. +24,80 ნიშნულზე, „5-6" მონაკვეთში ფანჯრის ნაცვლად მოწყობილია ქვედა სართულების მსგავსი ვიტრაჟი და მოაჯირი. „1-1" ღერძის გარეთ კაპიტალურის ნაცვლად მოწყობილია ლითონის მოაჯირი.

**„8-1" ფასადზე:** „4-4" ღერძთან შემცირებულია აივნის ღიობების სიგრძე. +0,00 ნიშნულზე, „3-2" მონაკვეთში ამოშენებულია ფანჯარა. +24,80 ნიშნულზე, „5-4" მონაკვეთში კარის თავზე ამოშენებულია ღიობი. +27,90 ნიშნულზე გაუქმებულია პარაპეტი.

**„ზ-ა" ფასადზე:** „გ-გ" ღერძზე აივნის ფილების ქვეშ დამატებულია რიგელები. +0.00 ნიშნულზე, „ბ-ა" მონაკვეთში დამატებულია ფანჯრის ღიობი.

ფასადებზე ნაწილობრივ შეცვლილია ვიტრაჟების ნახატი.

ლიფტის შახტა მოწყობილია მთლიანად მონოლითური კედლებით. -3,00 ნიშნულზე, „ე-ზ" მონაკვეთში გაზრდილია საავტომობილო პანდუსის დახრის კუთხე. „8-8" ღერძზე შეცვლილია კედლის ნაწილის მასალა. +6,20 ნიშნულზე შემცირებულია კოლონების კვეთი. +27,35 ნიშნულზე, „6-4" მონაკვეთში შეცვლილია იატაკის ფილის ფორმა.

**ტერიტორიის შემომსაზღვრელი ღობის ნაწილი ცდება საკადასტრო საზღვარს.**

დამატებით განგიმარტავთ, რომ „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს $25^1$-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად „რეკომენდაციის შესრულების ვადაში დამკვეთის მიმართ სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოება არ დაიწყება".

**პატივისცემით,**

გიორგი გეჯაძე

მუნიციპალური ინსპექცია-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე (მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილე)

დოკუმენტი შესრულებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი

საქართველო, თბილისი, 0160, ჭ. წერეთლის ქ. N7, (+995 32) 237 81 39